

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და წინადადებები
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტროს მიერ
გამოქვეყნებულ კანონპროექტზე
„საქართველოს ტყის კოდექსი“



გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

03 თებერვალი, 2015

2015 წლის 24 დეკემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ საქართველოს კანონის „საქართველოს ტყის კოდექსი“ პირველი ვერსია (კანონპროექტი) გამოაქვეყნა. ქვემოთ წარმოდგენილია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და წინადადებები აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით.

საკითხის აქტუალობიდან და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს კანონპროექტთან დაკავშირებით სამინისტროში შემოსული მოქალაქეების, ექსპერტების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ყველა შენიშვნისა და წინადადების გამოქვეყნება, აღნიშნულის შესახებ საზოგადოების ინფორმირება და კანონპროექტის საჯარო განხილვების ორგანიზება.

თბილისი, 0179, საქართველო
ვალისაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

**მწვანე ალტერნატივას შენიშვნები წინადადებები
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ
გამოქვეყნებულ კანონპროექტზე
„საქართველოს ტყის კოდექსი“**

1. **პრეამბულა.** აუცილებლად მიგვაჩნია, რომ პრეამბულაში გამოჩნდეს კანონის შესაბამისობა გარემოსდაცვით/მდგრადი განვითარების პრინციპებთან, ასევე მისი მიმართება სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტთან, რომელიც დაკავშირებულია ბიომრავალფეროვნების დაცვასა და ტყის მდგრად მართვასთან (მაგალითად, რიოს პრინციპები, ტყის მდგრადი მართვის პან-ევროპული ინდიკატორები და სხვ.)
2. სასურველია, პრეამბულაში მესამე წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საქართველოს ტყე, მიუხედავად საკუთრების ფორმებისა, უნდა იმართებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად ჩამოყალიბებული სისტემის საფუძველზე,“...და შემდეგ როგორც ტექსტშია.
3. სასურველია, ტერმინების განმარტებაში შეტანილი იქნეს: "მდგრადი განვითარების პრინციპები" - პრინციპები, რომლებიც ინტეგრირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (United Nations Conference on Environment and Development, Rio de Janeiro, 1992) მიერ მიღებული "გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაციის" "21-ე საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის - დღის წესრიგ 21-ის" და "ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ არასაკანონმდებლო ვალდებულებათა განცხადების" დასკვნით დოკუმენტებში;

აღსანიშნავია, რომ მოქმედი ტყის კოდექსის მე-4 მუხლში აღიარებულია, რომ საქართველოს სატყეო კანონმდებლობა ემყარება რიოს პრინციპებს და საქართველოს კანონის „გარემოს დაცვის შესახებ“ მე-5 მუხლს, რომელიც ასევე რიოს მდგრადი განვითარების პრინციპებს იმეორებს. სამწუხაროდ, წარმოდგენილ კანონპროექტში არ არის ეს პრინციპები ნახსენები.

4. სასურველია ასევე, კანონის ტექსტში გამოყენებული იქნას ტყის მდგრადი მართვის დღევანდელი განსაზღვრება, რომელიც შემუშავებულ იქნა ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის მიერ (MCPFE) და შემდეგ დამტკიცებულ იქნა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ (FAO). აღნიშნულიდან გამომდინარე, „ტერმინების განმარტებაში“ უნდა ჩაემატოს:

„ტყის მდგრადი მართვა - ტყეებისა და სატყეო მიწების მართვა და გამოყენება ისეთი გზითა და მოცულობით, რომ შენარჩუნებული იქნას მათი ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, რეგენერაციის შესაძლებლობა, სიცოცხლისუნარიანობა და მათი პოტენციალი, რათა ახლაც და მომავალშიც შესრულებულ იქნას ტყის შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები ლოკალურ, ნაციონალურ და გლობალურ დონეზე და არ გამოიწვიოს სხვა ეკოსისტემების დაზიანება“.

თავი I ზოგადი დებულებანი

5. **მუხლი 1.1. „ბ“** სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ბ) ტყის მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა“.

ტერმინი „სატყეო მეურნეობის წარმართვა“ როგორც საქართველოს დღევანდელ ისევე როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნების კანონმდებლობაში გამოიყენება „ტყის მართვის“ სინონიმად.

6. **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.** მოქმედ ტყის კოდექსში ტერმინი „ტყე“ ძალზე გაუგებრადაა განმარტებული - არ შეიცავს არანაირ მინიშნებას, თუ რომელ კორომს ან ეკოსისტემას მიიჩნევს კოდექსი მართვის ობიექტად. ამასთანავე, განმარტება შეიცავს სამეცნიერო თვალსაზრისით არასწორ ტერმინებს, მაგ. „გავრცელების არეალი“ და სხვ. ტყე ისე უნდა იყოს კანონმდებლობაში განმარტებული, რომ ნათლად იყოს მოცემული მერქნიანი მცენარეების ერთობლიობის (კორომის) რაოდენობრივი პარამეტრები (მაგალითად, მინიმალური ფართობი, სიხშირე, დაფარულობა, ვარჯის შეკრულობა, ხეების სიმაღლე). ასეთი განმარტება საშუალებას მისცემდა ტყის მართვაზე პასუხისმგებელ ინსტიტუციებს, ჰქონოდათ გარკვეული მიზანი (ორიენტირი) ტყის დაცვის, აღდგენისა და გამოყენების ამოცანების დასახვისას.¹

მისასაღმებელია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი დღევანდელი კანონმდებლობის ხარვეზს ასწორებს. თუმცა, დამატებითი დისკუსიის საგანი უნდა გახდეს, რა არგუმენტებზე დაყრდნობით განისაზღვრა ხეთა ვარჯის შეკრულობად 20%. ამ საკითხს (პროცენტის განსაზღვრა) დიდი მნიშვნელობა აქვს ტყეების მართვისას, რადგან განაპირობებს, ქვეყნის ტერიტორიის რამდენი პროცენტი არის ტყით დაფარული, რომელი კორომები ექვემდებარება აღდგენას და/ან ტყის მართვის სხვა მექანიზმებს და რომელი ადგილების ტრანსფორმაცია შეიძლება სხვა ეკოსისტემად.

7. **„ა.ა) ტყეს ასევე მიეკუთვნება“** - ჩამონათვალს უნდა დაემატოს „ჭალის ტყე“

ჩამონათვალში დასაზუსტებელია/გასასწორებელია შემდეგი ფორმულირება: „საახალწლო ნაძვის ხის პლანტაციები“. ხშირად გამოიყენება სოჭი და კრიპტომერია

8. **„ე) ტყის მონიტორინგი“** - განმარტება დახვეწას და დაკონკრეტებას მოითხოვს.

9. **„ვ) ტყეთმონწყობა“** - საკმაოდ ბუნდოვანი და გაუგებარი განმარტებაა, პრაქტიკული (მართვის) თვალსაზრისით არაფერს არ განსაზღვრავს.

10. **„ო) ხე-ტყის დამზადება** - ზეზემდგომი ხის მოჭრა ან/და ძირნაყარი ხე-ტყიდან მერქნის ამოღება, დახარისხება და გამოზიდვა;“ - დასაზუსტებელია, საიდან გამოზიდვა - ტყეკავიდან, ტყის კონტურის გარეთ?

¹ ამ საკითხზე მეტი ინფორმაციის მისაღებად იხ. ტერმინ „ტყის“ განმარტებები გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP), ბიომრავალფეროვნების კონვენციის (CBD) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ვებ-გვერდებზე: <http://www.unep.org/vitalforest/Report/VFG-01-Forest-definition-and-extent.pdf>; <https://www.cbd.int/forest/definitions.shtml>; <http://www.fao.org/docrep/005/y4171e/y4171e10.htm>

11. **„ი) ტყეკაფი“** - სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **ტყეკაფი** - ხე-ტყის დამზადების მიზნით გამოყოფილი ტყის უბანი, რომელზეც განსაზღვრულია მოსაჭრელი და ძირნაყარი ხეების ოდენობა და მონიშნულია მოსაჭრელი ხეები;
12. **„ს) ტყის მავნებელ-დაავადებები“** - მავნე ორგანიზმი, როგორცაა მწერი, მღრღნელი, სოკო, ბაქტერია ან ვირუსი, რომელთა რაოდენობის მომატებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტყეს ან არსებითად შეამციროს მერქნის ხარისხი“ - ეს განმარტება დასაზუსტებელი და დასახვეწია.
13. **„უ) ჭალის ტყე** - ვაკე რელიეფზე მდინარეების აუზში განფენილი ტყეები“ - ეს ტერმინი დასახვეწია. მხოლოდ ვაკე რელიეფი არ არის ჭალის ტყის განმსაზღვრელი.
14. **„ჩ) სუბალპური ტყე** - ტყე, რომელიც განთავსებულია ალპური ზონის საზღვრის ქვემოთ 300 მ სიგანის ზოლში და წარმოადგენს გარდამავალ ზონას (ბრძოლის სარტყელს) სუბალპურსა და ალპურს შორის“. ეს ტერმინი დასაზუსტებელი და დასახვეწია.
15. **მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა ტყის სფეროში.** „3. ტყის დაცული ტერიტორიების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს ეს კოდექსი, თუ კი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“. - საკმაოდ საშიში და ორაზროვანი ფორმულირებაა და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. გაგრძელება არსებული საშიში ტენდენცია, რომლითაც ხშირ შემთხვევაში დაცული ტერიტორიების მართვა გათანაბრებულია სამეურნეო ტყის მართვასთან - განსაკუთრებით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის საკითხებთან მიმართებაში.
16. **მუხლი 5. ტყეზე საკუთრების უფლება** „3. მუნიციპალური ტყე არის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ტყე, რომელთან დაკავშირებულ მმართველობით უფლებამოსილებებს ამ კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები;“ - დასაფიქრებელია კონტროლის განცხორციელების საკითხი და ამ კონტროლის შესაბამისობა ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (2014).
17. **მუხლი 6. ტყის მიწები** - ამ მუხლის შინაარსი და კატეგორიები გადმოტანილია მოქმედი კანონმდებლობიდან და პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არაფერს არ იძლევა. გაუგებარია, ტყის კონტურში არსებულ მიწებს შეესაბამება თუ მთელ საქართველოს ტერიტორიას? სასურველია ეს განიმარტოს. მუხლში ნათქვამი უნდა იყოს, რომ „ტყის მიწები წარმოადგენს ტყის კონტურის ფარგლებში არსებულ მიწებს და ტყის კონტურის მიმდებარე 1 კმ (ან მეტი, ან ნაკლები) ტერიტორიებს“
18. **მუხლი 7. ტყის კატეგორიებად დაყოფა.** კანონპროექტის წარმოდგენილ რედაქციაში, მოცემული კატეგორიზაციის სისტემა მეტწილად შეესაბამება „ევროპის ტყეების“²

² „ევროპის ტყეების“ კლასიფიკაცია - „ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის“ (MCPFE) - „ევროპის ტყეების“ (Forest Europe), ვენის მეოთხე მინისტრიალის მე-4 რეზოლუციით (“ევროპის ტყეების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგომარეობის გაუმჯობესება”) განსაზღვრული ტყეების კლასიფიკაცია.

კლასიფიკაციას, რომლის თანახმადაც, ტყეები დაჯგუფებული არიან მათი მართვის ძირითადი ამოცანის შესაბამისად. ამ სიახლის დანერგვა სატყეო სექტორის მარეგულირებელ კანონმდებლობაში მთილად შეესაბამება ტყის მდგრადი მართვისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნულ მიზნებსა და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებს, მათ შორის: „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია“³ და „საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმა 2014-2020“⁴-ს, „ევროპის ტყეების“⁵ ინიციატივებსა და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებებს⁶. ეს უდავოდ პროგრესული და გადაწყვეტილებაა, რადგან დღეს მოქმედი კატეგორიზაციის სისტემა ძალზე არაეფექტურია, რაც ხელს უშლის ტყის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და რესურსების გონივრულ გამოყენებას. სამწუხაროდ, წარმოდგენილ კანონპროექტში არ არის წარმოჩენილი კატეგორიზაციის მნიშვნელობა და კავშირი კოდექსის სხვა ნაწილებთან; გარკვეულწილად იკარგება მწყობრი კავშირი კატეგორიზაციასა და მომდევნო თავებში მოცემულ სხვა რეგულაციებს შორის. კოდექსის ბოლო თავები არ შეესაბამება ამ მუხლით განსაზღვრულ კატეგორიზაციის სტრუქტურას.

აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად, ტყის კატეგორიზებად დაყოფის შესახებ მუხლს წინ უნდა უძღვოდეს მუხლი/დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ კატეგორიების გამოყენების პრინციპებს და ადგილს და იერარქიას კანონმდებლობაში. გთავაზობთ შემდეგ რედაქციას, რომელიც შეიძლება შევიდეს წარმოდგენილი კანონპროექტის მე-4 მუხლში (ან დაემატოს, როგორც ახალი მუხლი):

„მუხლი N ზოგადი დებულებები

1. ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის მთავარი მიზანია. მდგრადი მართვა უზრუნველყოფს ტყის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების შენარჩუნებას და ამ ფუნქციებიდან საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებელის მიღებას. ტყის მდგრადი მართვის საფუძველს და წინაპირობას ტყისა და სატყეო მიწების დაგეგმარება წარმოადგენს.

2. ტყისა და სატყეო მიწების დაგეგმარება შემდეგ სამ აუცილებელ ეტაპს მოიცავს:

- ა) ტყისა და სატყეო მიწების კატეგორიზაცია (სტრატეგიული ზონირება).
- ბ) ტყის მართვის გეგმა.
- გ) წლიურ სამოქმედო (საოპერაციო) გეგმა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ტყისა და სატყეო მიწების დაგეგმარების სამი

MCPFE-ის თითოეულ კლასს შეესაბამება ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების კატეგორია, რომელიც გამოყენებულია საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის გაგეგმვისა და მართვისას; ასევე ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) კატეგორიას და გამოიყენება „ნატურა 2000“ და „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიების გამოყოფისა და მართვისას.

³ საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1742-ის, 11.12.2013

⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება N343, 08.05.2014

⁵ <http://www.foresteurope.org/>

⁶ ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება და საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა

ეტაპი თანამიმდევრულად უნდა განხორციელდეს.

4. ტყის მართვის გეგმა და/ან წლიური სამოქმედო/საოპერაციო გეგმა უნდა მიესადაგებოდეს ტყისა და სატყეო მიწების შესაბამის კატეგორიას (სტრატეგიულ ზონას) და უნდა განხორციელდეს ტყეთმომწყობის (ტყის ინვენტარიზაციის) საფუძველზე.

5. ტყისა და სატყეო მიწების კატეგორიზაციას (სტრატეგიული ზონირება), მთელი ქვეყნის მასშტაბით, ახდენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სხვა სახელმწიფო უწყებებთან (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო) და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობით.

6. ტყის მართვის გეგმას და წლიურ სამოქმედო/საოპერაციო გეგმას ადგენს ტყითმოსარგებლე ან ტყის მართვაზე პასუხისმეგებელი უწყება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

19. მუხლი 7. მე-5 პუნქტის მიხედვით, „ტყის ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით ტყეების დაყოფა ხორციელდება „საქართველოს ტყის კატეგორიზაციის წესის“ შესაბამისად.“ ეს მისასაღმებელია, თუმცა საჭიროდ მიგვაჩნია, რომ კანონში უფრო მეტი სიცხადე/მინიშნება იქნას შეტანილი აღნიშნული კანონქვემდებარე აქტის შინაარსისა და პრინციპების შესახებ. მაგალითად, სასურველია, რომ ნახსენები იქნას, რომ საქართველოს ტყეების კატეგორიზაცია განხორციელდება „ევროპის ტყეების“ კლასიფიკაციის/კლასების გათვალისწინებით.

20. მუხლი 7. პუნქტი 1. ბ) კატეგორიის დასახელება არ შეესაბამება იმ მართვის ამოცანებს, რომლებიც განსაზღვრულია მე-10 მუხლით. რადგანაც მე-10 მუხლით განსაზღვრული ტყის კატეგორიის მთავარი ამოცანაა კულტურული ეკოსისტემური სერვისების დაცვა და განვითარება, მიზანშეწონილია, რომ კატეგორიას ეწოდოს „კულტურული და სარეკრეაციო დანიშნულების ტყე“. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, რომელ კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს ტყეები, რომლებსაც აქვთ უაღრესად დიდი მნიშვნელობა რელიგიური და/ან კულტურული იდენტობის შენარჩუნებისათვის (მაგ. ხატის ტყეები, რელიგიურ კონფესიებზე გადაცემული ტყეები). გაუგებარია, თუ რატომ არ არის კანონპროექტის ტექსტში გამოყენებული ტერმინი „ეკოსისტემური სერვისები“. ეს ტერმინი უკვე დამკვიდრდა საქართველოს კანონმდებლობაში, მათ შორის ნორმატიულ აქტებში და გარემოსდაცვითი (ბიორმაველფეროვნების, ტყის კონსერვაციის) პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში⁷. თუ სახელმწიფო (სამინისტრო) თავის პრიორიტეტად აღიარებს მწვანე ეკონომიკის განვითარებას, მაშინ შესაბამისი ტერმინოლოგია და მართვის ფორმები ასახული უნდა იქნას მწვანე ეკონომიკისათვის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის კანონმდებლობაში, როგორცაა სატყეო სექტორი.

21. მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „კულტურული და სარეკრეაციო დანიშნულების ტყეები - მართვის მთავარი ამოცანაა ლანდშაფტებისა და ბუნების კონკრეტული ელემენტების დაცვა; ადგილობრივი თემებისათვის საჭირო რესურსების დაცვა და მდგრადი გამოყენება, სარეკრეაციო, რელიგიური და სხვა კულტურული ღირებულებების (ეკოსისტემის კულტურული სერვისების) დაცვა.“

⁷ იხ. მინისტრის ბრძანება; NBSAP

22. მუხლი 7. მექანიკურად გამორჩენილია პუნქტი, რომლითაც განისაზღვრება დაცვითი ტყეების მართვის მთავარი ამოცანა.

23. მუხლი 10. განმარტებას მოითხოვს, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერმინი „სანიტარიული დაცვის ზონა“ - რომელი მოქმედი ნორმატიული აქტით არის ეს საკითხი განსაზღვრული?

24. მუხლი 10. დაცულ ლანდშაფტებისა (IUCN-ის V კატეგორია) და მრავალმხრივი გამოყენების ზონების (IUCN-ის VI კატეგორია) ფუნქცია არ შემოიფარგლება სარეკრეაციო ფუნქციით.

25. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ კატეგორიის ტყეების მართვის ამოცანას და ფუნქციას და დაგეხმარებიან შემდგომში, კანონპროექტის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტის („საქართველოს ტყის კატეგორიზაციის წესი“) შემუშავებისას:

- შეიძლება აიკრძალოს ტყითსარგებლობა და მოქალაქეთა ტყეში ყოფნა (ან დაწესდეს სხვა შეზღუდვები), თუ ეს შეუთავსებელია კონკრეტული ტერიტორიის მართვის მიზანთან (მაგალითად: ბუნების ძეგლი, ხატის ტყეები, რელიგიურ ორგანიზაციებზე გადაცემული ფართობები, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მიზნით გამოყოფილი ტერიტორიები და სხვ.).
- დაშვებულია რესურსების გამოყენება მხოლოდ ადგილობრივი და მკვიდრი მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ისეთი მოცულობითა და ფორმით, რომ არ მოახდინოს ეკოსისტემის/ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის არსებითი ცვლილება და გულისხმობს მხოლოდ ბუნებათსარგებლობის ტრადიციულ ფორმებს.
- ამ მუხლით განსაზღვრული კატეგორიების ტყეებში შეიძლება დაარსდეს „ზურმუხტის საიტები“ და იმართებოდეს შესაბამისი წესით.

26. კანონპროექტის მე-11 მუხლში, არ არის განსაზღვრული დაცვითი ტყეების მართვის მთავარი ამოცანა (სხვა კატეგორიის ტყეებთან მიმართებაში ეს საკითხი განსაზღვრულია). შესაძლებელია მექანიკურად ან ტექნიკური პრობლემის გამო არის გამორჩენილი. გთავაზობთ აღნიშნულ მუხლს დაემატოს შემდეგი პუნქტები:

- დაცვითი ტყეების ტერიტორიაზე აკრძალულია ნებისმიერი საქმიანობა/ღონისძიება, რომელიც უარყოფითად აისახება ნიადაგისა და წყლის ხარისზე ან/და მარეგულირებელ ეკოსისტემურ სერვისებზე, ან/და შესაძლოა შეასუსტოს ტყეების დასახლებების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების ბუნებრივი კატასტროფებისაგან პრევენციის უნარი.
- საჭიროების შემთხვევაში, დაცვითი ტყეების მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მინიმალური ჩარევა და/ან შემთხვევაში, დაცვა აქტიური მენეჯმენტის გზით.

- დაცვითი ტყეები შესაძლებელია მდებარეობდნენ დაცული ტერიტორიების სხვადასხვა კატეგორიებზე, ასევე მოიცავდნენ „ზურმუხტის საიტებს“. ამ შემთხვევაში იმართება შესაბამისი კატეგორიის მართვის ამოცანის გათვალისწინებით.

27. მუხლი 13. ტყის სტატუსის მინიჭებისას უგულვებელყოფილია საზოგადოების მონაწილეობის საკითხები. გაუგებარია სტატუსის მინიჭების სამართლებრივი მექანიზმი.

28. მუხლი 13. მე-4 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალური ტყე მუნიციპალიტეტებს 10 წლის ვადით, მართვის უფლებით გადაეცემათ. აღნიშნული ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. აღნიშნული საკითხი მოითხოვს შემდგომ დისკუსიას და დასაბუთებას საჯარო განხილვების დროს.

29. მუხლი 14. კანონპროექტის თანახმად, ტყის სტატუსის შეწყვეტისათვის საჭიროა მთავრობის „დასაბუთებული“ გადაწყვეტილება (მე-2 პუნქტი), ალტერნატივების შესწავლა (მე-3 პუნქტი) და ინტერესთა შეპირისპირება (მე-4 პუნქტი). ასევე აუცილებელი გარემოებაა, რომ პროექტი, რომელიც გამოც უწყდება ტყის სტატუსი, უნდა წარმოადგენდეს აუცილებელი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურულ პროექტს (პუნქტი 5). ყოველივე აღნიშნულის განხორციელების / დადგენის ერთადერთი გზა არის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს ხარჯ-სარგებლის ანალიზს. ამდენად, აუცილებელია, რომ ეს საკითხი აისახოს როგორც ტყის კოდექსში, ისე გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონმდებლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ ისეთივე სიტუაციას, როგორც ახლა გვაქვს: „ტყის ფონდიდან“ ფართობების ამორიცხვა მიმდინარეობს კერძო ფიზიკური და იურიდიული პროექტების სასარგებლოდ (წიალის მოპოვება, ჰესების მშენებლობა, საპატრიარქოს ინტერესები და სხვ.), რომლებიც არანაირად არ წარმოადგენს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესს, ხოლო ეკონომიკურ მოგებას იღებენ კერძო პირები და არა ქვეყანა.

30. უნდა აღინიშნოს, რომ „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კანონპროექტის მე-14 მუხლით ეს საკითხი განსხვავებულად და უკეთესად არის დარეგულირებული, თუმცა ისიც სერიოზულ დახვეწას მოითხოვს.

31. გთავაზობთ, ტყის კოდექსის მე-14 მუხლს დაემატოს მე-7 პუნქტი, სადაც განისაზღვრება, რომ მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევების დროს საჭიროა ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება და ტყის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნებართვის გაცემის შემთხვევაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მოთხოვნა შეესაბამება საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმას (11.3 „სტრატეგიული მიდგომები“), სადაც აღნიშნულია: „უნდა გაუმჯობესდეს არსებული გზშ-ს პროცედურები, რათა უკეთესად იყოს გათვალისწინებული ბიომრავალფეროვნების საკითხები; უნდა გადახალისდეს გზშ-ს დაქვემდებარებული საქმიანობების ნუსხა და ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით (CBD DEC VIII/22), მასში უნდა შევიდეს

ინფრასტრუქტურის განვითარების ყველა პროექტი, რომლებიც პოტენციურად უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ბიომრავალფეროვნებაზე. ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია თავიდან უნდა იქნეს აცილებული და, თუ ეს შეუძლებელია, მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. ამისათვის, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ეგიდით შექმნილი დოკუმენტების მიხედვით, უნდა შემუშავდეს შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები“.

32. მუხლი 15. მე-3 პუნქტიდან ამოსაღებია ფრაზა „საზღვრის კორექტირების შემთხვევაში“, ვინაიდან ამ დროს სეიდლება გაიზარდოს კიდევაც ტყის ტერიტორია (კორექტირება მხოლოდ ამორიცხვას არ გულისხმობს, დღევანდელი პრაქტიკიდან გამომდინარე).

33. მუხლი 16. გაუგებარია, ამ მუხლის მე-3 პუნქტით რატომ არის დაშვებული სახელმწიფო ტყის მხოლოდ 10%-ის პრივატიზება? საჭიროა განიმარტოს, რა მოსაზრებას ეყრდნობა ეს რაოდენობა.

34. მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ტყის კერძო საკუთრებაში გადაცემის საკითხს აწესრიგებს საქართველოს კანონი „ტყის განსახელმწიფოებრიობის შესახებ“. მსგავსი მოთხოვნა არის მოქმედი ტყის კოდექსის მე-9 მუხლშიც. თუმცა, ასეთი კანონის შექმნა, ტყის კოდექსის მიღებიდან (1999 წ.) დღემდე პოლიტიკურ დღის წესრიგში არასოდეს დამდგარა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საკითხი დარეგულიდრეს არა ცალკე კანონით, არამედ ტყის კოდექსითა და მისი კანონქვემდებარე აქტით.

35. 2010 წლის 21 ივლისის N 3512 – რს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონით უკვე დაშვებულია სახელმწიფო ტყის გარკვეული ფართობების პრივატიზება. ამ კანონის შესაბამისად, პრივატიზებას ექვემდებარება დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეები. ასეთი პრივატიზება უნდა განხორციელდეს საჯარო აუქციონის ფორმით. ჩვენის აზრით, ამ სახით ტყეების პროვატიზების განხორციელება შეუძლებელია ორი მთავარი წინაპირობის არარსებობის გამო: 1. არ არის დადგენილი დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრები (დადგენილია მხოლოდ თბილისის და რამდენიმე დიდი ქალაქის საზღვრები); 2. არ არის დადგენილი ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეების საზღვრები, მათ შორის დასახლებათა ტერიტორიაზე არსებულის. ქონების ეროვნულ სააგენტომ ამ საკითხთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია არასრულყოფილად მოგვაწოდა, რის გამოც ამ ეტაპზე გაუგებარია, ამ რეგულაციის შესაბამისად ჰქონდა თუ არა რომელიმე კერძო პირს ტყის პრივატიზების მცდელობა, ან რეალურად მოხდა თუ არა ტყის პრივატიზება.

მიგვაჩნია, რომ ტყის კოდექსის მიღებასთან ერთად (ან მანამდე) „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონით დადგენილი ტყეების პრივატიზაცია უნდა გაუქმდეს.

36. მუხლი 18. საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებული საკითხი ძალზე ზედაპირულად არის მოცემული და მნიშვნელოვან გადამუშავებას საჭიროებს. საზოგადოების ფართო ჩართულობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას ტყის მართვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპზე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით. აღნიშნული საკითხები მოქმედ ტყის კოდექსში უკეთესადაა მოცემული, ვიდრე განსახილველად წარმოდგენილ კანოპროექტში.

თუმცა არსებულ რეგულაციებიც უამრავ ხარვეზს შეიცავს და მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს⁸.

37. კანონპროექტის მე-2 თავი - „უფლებამოსილება ტყის სფეროში“ - ბევრ კითხვას ბადებს დასაბუთებას საჭიროებს, რამდენად უნდა იყოს ასეთი სახით საკითხი წარმოდგენილი კანონში?
38. მუხლი 19. გაუგებარია, წარმოადგენს თუ არა (და თუ არ წარმოადგენს, ვისი კომპეტენციაა) ტყის მართვის გეგმების შესრულების მონიტორინგი.
39. მუხლი.20. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილების „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესაბამისად“, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის ფონდი მოიცავს მხოლოდ გუმისთის, ფსხუს, სკურჩის, რიწის, და ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრზალებს, რომლებსაც მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო. შესაბამისად, კანონპროექტის მე-20 მუხლიდან ამოღებული უნდა იქნას „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა“, ვინაიდან საქართველოს მთავრობის ზემოხსენებული დადგენილებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამეურნეო ტყის ფონდი გაუქმებულია.
40. მუხლი 21. „გ“ და „დ“ მუხლები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. მუნიციპალიტეტების და სახელმწიფოს უფლებამოსილება მკაცრად უნდა იყოს გამიჯნული.
41. მუხლი 22. აღნიშნული მუხლი ძალზე ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს. დღევანდელი კანონმდებლობით, საქართველოს ტყეებს მართავენ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოები (დაცული ლანდშაფტები და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები), სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო. კანონპროექტის თანახმად, ჩამოთვლილთაგან მხოლოდ სსიპ ეროვნული სააგენტოს სტატუსი იცვლება (სსიპ უქმდება) და გარდაიქმნება სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილ კერძო სამართლის იურიდიული პირად. ამასთანავე, მისი კომპეტენცია და უფლებამოსილებები დიდად არ განსხვავდება არსებული სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსგან. შესაბამისად, გაუგებარია და განმარტებას მოითხოვს, რა ქმედებების განხორციელება ვერ ხერხდება, როდესაც ტყის მართვის სახელმწიფო ორგანოს სამართლებრივი ფორმა არის სსიპ და რა პრობლემას მოაგვარებს ახალი სამართლებრივი ფორმა. რატომ არ იცვლება მაგალითად სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ან სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს სამართლებრივი ფორმები? იქმნება შთაბეჭდილება, რომ ახალი ტყის კოდექსი მხოლოდ ერთი უწყებისთვის იწერება.
42. კანონპროექტში არ ჩანს ის მექანიზმები, რომლებიც ინტერესთა კონფლიქტების პრევენციას მოახდენენ და აგვარიდებენ ელიტური კორუფციის შესამდებლობას. არ არის საკმარისი მექანიზმები იმისათვის, რომ გაკონტროლდეს ტყის მართვის ორგანოს ქმედებები - განსაკუთრებით, ხე-ტყის დამზადებისა და რეალიზაციის კუთხით. ეს ორგანო სამეურნეო საქმიანობასაც ახორციელებს, სანებართვოსაც და ადმინისტრირებასაც ახდენს, რაც მკვეთრად

⁸ იხ. პუბლიკაცია საზოგადოების მონაწილეობა ტყის მართვაში - სახელმძღვანელო, www.greenalt.org

ეწინააღმდეგება „ეროვნულ სატყეო კონცეფციას“, სადაც მკაფიოდ არის აღნიშნული უწყებთა შორის კომპეტენციათა გამიჯვნის აუცილებლობაზე.

- 43. მუხლი 23.** ზედამხედველობის ფუნქცია ამოიწურება /დაყვანილია ტყის დაცვის სფეროში კონტროლამდე. გაუგებარია, ვინ განხორციელებს ზედამხედველობას ტყის მართვის ორგანოების საქმიანობაზე, მართვის გეგმების შესრულებაზე და ა.შ.
- 44. მუხლი 24.** პირველი პუნქტის წინადადება „რომელიც არ ეწინააღმდეგება ტყის დაცვის ამ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მოთხოვნებს“ შეიცვალოს შემდეგნაირად: „რომელიც არ ეწინააღმდეგება ტყის მართვის ამ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მოთხოვნებს“..
- 45. კანონპროექტის მესამე თავი „აღრიცხვა და დაგეგმვა“,** (მუხლი 25 და სხვ.) იდენტურია მოქმედი ტყის კოდექსის პირვანდელი რედაქციის VIII თავისა „სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემა“. ამ რეგულაციების მიხედვით „ტყის ფონდის“ მართვა ყოველთვის შორს იდგა მდგრადი მართვის პრონციპებისგან. წარმოდგენილ კანონპროექტში ეს თავი ხელოვნურადაა მიზნული მანამდე მოცემულ რეგულაციებთან.
- 46. მუხლი 25.** არ ჩანს ამ მუხლში მოცემული რეგულაციების (ტყის მონიტორინგი, ტყეთმოწყობა, ტყის სპეციალური გამოკვლევა, რეესტრი) კავშირი - იერარქია და განხორციელების თანამიმდევრობა - ტყის კატეგორიზაციასთან (მუხლი 7).
- 47. მუხლი 26** იდენტურია მოქმედი ტყის კოდექსის პირვანდელი რედაქციის 24-ე მუხლისა. ამ მუხლის პრაქტიკული დანიშნულება სრულიად გაუგებარი იყო/არის. 2010 წლის 7 ივლისს შეტანილი ცვლილებებით, მოქმედ ტყის კოდექსში ეს მუხლი შეიცვალა. წარმოდგენილი კანონპროექტიდან გაუგებარია, რა სახით შეიძლება ამ დებულებების პრაქტიკული გამოყენება. იმედს გამოვთქვამთ, რომ საჯარო განხილვების დროს პროექტის ავტორები განმარტავენ ამ საკითხს.
- 48. მუხლი 27. „ტყეთმოწყობა“.** ეს მუხლი ასევე უმეტესწილად გადმოტანილია ტყის კოდექსის პირვანდელი რედაქციის 27-ე მუხლიდან, თუმცა გაცილებით ბუნდოვანია. არ არის განსაზღვრული, რა საქმიანობების განხორციელებისთვის არის საჭირო ტყეთმოწყობა და რომელი საქმიანობის განხორციელება არის აკრძალული ტყეთმოწყობის გარეშე.
- 49. მუხლი 27.** გაუგებარია, დაცული ტერიტორიების მართვასთან დაკავშირებით მოცემული დებულებები. საერთოდ, დაცული ტერიტორიების მენეჯმენტთან შეუთავსებელია ის განსაზღვრებები, რომლებიც მოცემულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში (დაცული ტერიტორიის „შიდა სამეურნეო ორგანიზება“ და „კარტოგრაფიული მასალის მომზადება“ „ტყეთმოწყობის“ მეშვეობით).
- 50. მუხლი 27. მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის** მიხედვით, „ტყეთმოწყობის“ შედეგად ხდება ტყის უბნების კატეგორიებისა და დაცვის რეჟიმის მიკუთვნება. ტყის იმ კატეგორიებად დაყოფა, რომელიც მოცემულია მე-7 მუხლში, არ საჭიროებს ტყეთმოწყობას, თუმცა ტყეთმოწყობის

შედეგად, შესაძლებელია კატეგორიების გარკვეული დაზუსტება. ასევე არ საჭიროებს ტყეთმოწყობას დაცული ტერიტორიებისათვის დაცვის რეჟიმის განსაზღვრა.

51. მუხლი 27. მე-6 პუნქტის თანახმად, „ტყის მართვის გეგმების შედგენის ვალდებულება არ ვრცელდება კერძო ან თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებულ ტყეზე, რომლის ფართობიც არ აღემატება 50 ჰექტარს.“ 50 ჰექტარი საქართველოს მასშტაბისათვის არ არის ცოტა. ამასთანავე, გააჩნია მართვის მიზანს და 50 ჰექტარზე ნაკლები ფართობების რაოდენობას და ურთიერთგანლაგებას. თუ კერძო და/ან თვითმმართველობის მფლობელობაში/მართვაში, ერთმანეთის სიახლოვეს მოხვდება დიდი რაოდენობით ტერიტორიები (თუნდაც თითოეულის ფართობი 50 ჰა-ს არ აღემატებოდეს), შესაძლებელია ამან გამოიწვიოს მნიშვნელოვანი კუმულაციური ეფექტი.

52. მუხლი 29. საქართველოს ტყის აღრიცხვის (შეფასების) სისტემა და წესი - კანონპროექტში არ არის განსაზღვრული, რას არეგულირებს/ აწესრიგებს დებულება „საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემისა და წესის შესახებ“. საჭიროა, კოდექსში განმარტებული იყოს ამ დებულების საჭიროება და განისაზღვროს მისი ძირითადი მიმართულებები.

53. მუხლი 30. ტყის სპეციალური გამოკვლევა. ასეთი რეგულაცია დაკავშირებული იქნება სპონტანურად წარმოშობილი ამოცანების გადასაჭრელად - მაგალითად, რომელიმე კერძო სუბიექტისთვის, ან ე.წ. „სოციალური მიზნებისთვის“ ტყის ჭრის უფლების მინიჭება, ტყის მართვის ორგანოს მიერ, კომერციული მიზნით ტყის ჭრების შეუფერხებლად და სწრაფად განხორციელება და ა.შ. (მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი). ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ ასეთ „სპეციალურ გამოკვლევას“, მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ატარებს ტყითსარგებლობით დაინტერესებული სუბიექტი. ასეთი რეგულაცია ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის კორუფციისთვის. ამასთანავე, ეს ნიშნავს, რომ ტყეთმოწყობა არასოდეს არ ჩატარდება. ასეთი რეგულაციის დაკანონება ნიშნავს, რომ არ არის კარგად გააზრებული სატყეო სექტორში დღეს არსებული ვითარება (ქაოტურად და უსისტემოდ გაცემული გრძელვადიანი ლიცენზიები და ხე-ტყის დამზადების ხელშეკრულებები, ე.წ. „სოციალური“ და „სპეციალური“ ჭრები. სამწუხაროდ, კანონპროექტის ეს ნაწილი ვერ პასუხობს „ეროვნული სატყეო კონცეფციაში“ და „ბიომრავალფერვნების სტრატეგიასას და მოქმედებებათა გეგმაში“ დასახულ ამოცანებს. არ არის განსაზღვრული და დაკონკრეტებული, რა ტიპის სამუშაო უნდა განხორციელდეს „სპეციალურ გამოკვლევის“ დროს.

54. თავი IV ტყით საერთო სარგებლობა.

ამ თავის მუხლებით განსაზღვრული სარგებლობის ფორმა არ არის დაკავშირებული ტყეების კატეგორიებთან (მუხლები 7, 9, 10, 11, 12). საჭიროა კანონპროექტში აისახოს კავშირი ტყეების კატეგორიებსა და სარგებლობის ფორმებს შორის. აღნიშნული გამოსასწორებლად, შესაძლებელია თავს დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი: „ტყით საერთო სარგებლობა შეიძლება შეიზღუდოს კონკრეტული ტყის უბნის კატეგორიის ტყის მართვის მთავარი ამოცანიდან და დაცვის რეჟიმიდან გამომდინარე“. ალტერნატიულად, შესაძლებელია ასეთი შინაარსის პუნქტი დაემატოს 37-ე მუხლს.

55. მუხლი 34. პირველი პუნქტი სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სახელმწიფო

და მუნიციპალურ ტყეში გამოიყოფა საქონლის საძოვებლად შესაბამისი ტერიტორიები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტყის კატეგორიის, მართვის რეჟიმის, ფუნქციური დანიშნულების და მდგომარეობის გათვალისწინებით ეს შეუძლებელია“.

56. ექსპერტების თვალსაზრისით, რომელიც ასახულია არაერთ სახელმწიფო დოკუმენტში და კვლევაში, უსისტემო/არამდგრადი ძოვება საქართველოს ტყეებისათვის არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე ტყის ჭრა. შესაბამისად, კანონპროექტში მოცემული პრევენციის ღონისძიებები არ არის საკმარისი/ადეკვატური უსისტემო ძოვებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საფრთხეებისა. საკითხი უფრო ფართოდ უნდა იყოს განხილული რესურსებით ხელმისაწვდომობის უფლებისა და მიწათსარგებლობის კანონმდებლობის კონტექსტში.

57. მუხლი 36. მუხლის მე-2 პუნქტით შემოთავაზებული რეგულაცია არ არის რეალისტური და არსებული ვითარებაში პრაქტიკული. სხვადასხვა არამერქნული რესურსის გამოყენებამ (სამკურნალო ნედლეული და დეკორატიული მცენარეები) ზოგიერთ შემთხვევაში უმართავი ხასიათი მიიღო და საფრთხეს უქმნის ტყის ბიომრავალფეროვნებას (იხ. „ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020“).

58. მუხლი 37. მე-2 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია ტყით საერთო სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ საკუთარი ინიციატივით ტყეში ინვაზიური და გენეტიკურად მოდიფიცირებული სახეობების დარგვა, შხამ-ქიმიკატებისა და ტყის დაცვის სხვა საშუალებების გამოყენება“. ამ ქმედებების განხორციელება უნდა გამოცხადებული იყოს უკანონოდ ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის არა მხოლოდ „საკუთარი ინიციატივის“ შემთხვევაში იკრძალებოდეს.

59. თავი V. ტყით სპეციალური სარგებლობა

ამ თავში საერთოდ არ ჩანს ამ თავის კავშირი ტყის კატეგორიებთან. განსაზღვრული უნდა იქნას, სარგებლობის რომელი ფორმა ტყის რომელ კატეგორიაშია (მუხლი 7) არის დაშვებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, კატეგორიზაციას და მთლიანად ახალი კოდექსის მიღება აზრსაა მოკლებული.

60. კანონპროექტის 39-ე მუხლის თანახმად, „ტყით სპეციალური მოსარგებლე შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი და ტყის მართვის ორგანო“. ხოლო მე-40 მუხლის თანახმად, ტყის მერქნიანი მცენარეებით, მისი პროდუქტებით სარგებლობა და ტყის პლანტაციური მეურნეობის მოწყობა ტყის მართვის მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება განხორციელდეს ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყითსარგებლობის დოკუმენტის გარეშე. ეს ნიშნავს, რომ „ტყის მართვის ორგანო“ - სახელმწიფო შპს, ერთდროულად არის ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტების გამცემიც, მათი პირობების გამკონტროლებელიც და მონოპოლისტი მოსარგებლევც. ამავდროულად, მის საქმიანობას პრაქტიკულად არავინ გააკონტროლებს. მსგავსი რეგულაციის დაშვება კატეგორიულად არ შეიძლება, ვინაიდან შეიცავს კორუფციული გარიგებების მაღალ რისკს.

61. კანონპროექტის მიხედვით, ტყითსარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება საზოგადოების ყოველგვარი წინასწარი ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გარეშე. საზოგადოების მონაწილეობის ასეთი დაბალი ხარისხი არ ყოფილა არც ერთი ხელისუფლების/კანონის მოქმედების პირობებში. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესი გამოიყენება მხოლოდ ტყის მართვის გეგმის დამტკიცებისას (მუხლი 18). აუცილებელია, რომ ამგვარი მიდგომა შეიცვალოს. ტყითსარგებლობის ნებისმიერი ფორმის დაგეგმვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, კოდექსის პროექტის შემუშავებისას არ იქნა სათანადოდ შესწავლილი ტყის სექტორში არსებული პრობლემები, გაანალიზებული არსებული კვლევები და ეროვნული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები („ეროვნული სატყეო კონცეფცია“ და „ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა“).
62. მუხლი 41. ამ მუხლში არეულია ლოგიკური თანამიმდევრობა/იერარქია ტყეების კატეგორიზაციას, მართვის გეგმების შედგენასა და ტყეთმომწყობას შორის.
63. მუხლი 41. პუნქტი 1. მიუღებელია ტყეთმომწყობისა და „სპეციალური გამოკვლევების“ ერთმართთან გათანაბრება. იხ. ზევით ჩვენი კომენტარი N 52
64. მუხლი 41. გაუგებარია, რა იგულისხმება ამ მუხლის მე-2 პუნქტში.
65. მუხლი 41. მე-3 პუნქტის თანახმად, „ტყითსარგებლობის დაგეგმვისას უპირატესობა ენიჭება გრძელვადიან ტყითსარგებლობას და კომპლექსურ ტყითსარგებლობას, რომლებიც ერთდროულად ითვალისწინებს რამოდენიმე სახის ტყითსარგებლობას“. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს კომპლექსურ ტყითსარგებლობას, რომლებიც ერთდროულად ითვალისწინებს რამოდენიმე სახის ტყითსარგებლობას, ზეწოლა ტყის ეკოსისტემაზე იზრდება. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ უნდა მიენიჭოს ამ ფორმას უპირატესობა.
66. მუხლი 41. მე-4 პუნქტის თანახმად, „ტყითსარგებლობის დაგეგმვისას რეკომენდირებული უნდა იქნეს ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ზიანს არ აყენებს გარემოსა და მისი ბიომრავალფეროვნების მდგრადობას, ცხოველთა სამყაროს, ისტორიულ-კულტურულ და ბუნების ძეგლებს“. გაუგებარია, ვინ იძლევა ასეთ რეკომენდაციას და რამდენად სავალდებულოა ამ რეკომენდაციის გათვალისწინება. რა სამართლებრივი მექანიზმი იგულისხმება ასეთი რეკომენდაციის შესრულებისა და მონიტორინგისათვის.
67. მუხლი 41. ტერმინი „ტყითსარგებლობის დაგეგმვა“ - არასწორადაა გამოყენებული, გადმოტანილია ძველი კანონმდებლობის ტერმინოლოგია, რომელიც, სინამდვილეში რუსული/საბჭოთა ტერმინების კალკს წარმოადგენს.
68. მუხლი 44. გაუგებარია, რის მიხედვით არის განსაზღვრული გრძელვადიანი სარგებლობის მაქსიმალურ ვადად 25 წელი. ტყის კოდექსის პირვანდელი რედაქციით, ის 20 წელს შეადგენდა, ახლანდელი რედაქციით - 49 წელს. არც ერთი ჩამოთვლილი გადაწყვეტილება/ცვლილება მთავრობის მიერ არ ყოფილა დასაბუთებული/არგუმენტირებული. იმედს გამოვთქვამთ, რომ

საჯარო განხილვების დროს ამ საკითხს ნათელი მოეფინება და კოდექსის ავტორები წარმოადგენენ შესაბამის არგუმენტებს.

თავი VI ხე-ტყის დამზადება

69. **მუხლი 46.** წარმოდგენილი კანონპროექტით, კონსერვაციული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კორომები (old growth forests) - მწიფე და მწიფეზე უხნესი კორომები, კვლავ განიხილებიან, როგორც მერქნული რესურსის მიღების ყველაზე მისაღები წყარო. ეს პრობლემა ჯერ კიდევ მითითებული იყო 2005 წელს დამტკიცებულ ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში (მთავრობის დადგენილება N 27, 19.02.2005) და დასახული იყო მისი აღმოფხვრის ამოცანა.
70. **მუხლი 46. და 47.** წარმოდგენილი კანონპროექტით, მაღალი დაქანების ფერდობებზე ჭრასთან დაკავშირებული შეზღუდვა შეცვლილია: 35⁰-ის ნაცვლად შეზღუდვები ეხება 36⁰ დაქანების ფერდობებზე განვითარებულ ტყეებს. საჭიროა ამ ცვლილების დასაბუთება და განმარტება.
71. **მუხლი 48. სამეურნეო ჭრა. კანონპროექტის თანახმად,** ტყეებში მერქნის მოპოვების მიზნით ტარდება პირწმინდა და ამორჩევითი სამეურნეო ჭრები. ამასთანავე, პირწმინდა ჭრა დაშვებულია კოლხეთის დაბლობის ტყეებში და პლანტაციურ მეურნეობაში. კოლხეთის დაბლობის წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების რეფუგიუმს, სადაც შემორჩენილია ბოლო გამყინვარებას გადარჩენილი რელიქტები. საბჭოთა პერიოდში დაშვებული პირწმინდა ჭრების შედეგად ეს უნიკალური ეკოსისტემა ძალზე გადარბდა და დაიწყო მურყნარით ჩანაცვლება. გაცემას იწვევს, რომ წარმოდგენილ კანონპროექტში გვხვდება საბჭოთა მეტყევეობის ამგვარი „მარგალიტები“. ძნელი დასაჯერებელია, რომ ავტორები არ იყვნენ გაცნობილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ კვლევებსა და პოლიტიკის დოკუმენტებს. ეს მუხლი აუცილებლად მოიტხოვს გადაკეთებას. პირწმინდა ჭრა შესაძლებელია დაშვებული იქნას მხოლოდ პლანტაციურ მეურნეობაში.
72. **მუხლი 49. საანგარიშო ტყეკვაფი** გაუგებარია ამ რეგულაციის არსი და დანიშნულება, რადგან გრძელვადიან ტყეთსარგებლობას ახორციელებენ ლიცენზიანტებიც, ხელშეკრულების მფლობელებიც და სახელმწიფო შპს-ც.
73. **მუხლი 51.** მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ გაგრძელდება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხე-ტყის სტიქიური დამზადების ტრადიცია, განსაკუთრებით, ბოლო ათწლეულში დამკვიდრებული ე.წ. „სოციალური ჭრები“. კვლავ არ ჩანს რეგულაცია, რომელზეც არაერთხელ იყო საუბარი „ეროვნული სატყეო პროგრამის“ ფარგლებში და გულისხმობდა იმას, რომ ტყის ჭრის უფლება მხოლოდ ლიცენზირებულ ტყის მჭრელებს შეეძლებოდათ. გაუგებარია, მაშინ რატომ ეძლევა „ტყის მართვის ორგანოს“ ხე-ტყის დამზადების უფლებამოსილება.
74. **მუხლი 52.** წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, ხე-ტყის ძირითადი დამამზადებელი ხდება „ტყის მართვის ორგანო“. გაუგებარია, ვინ უნდა მისცეს და გაუკონტროლოს მას „ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი“.

- 75. მუხლი 53.** პლანტაციური მეურნეობის მოწყობა უნდა იყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონმდებლობის მეორე დანართით განსაზღვრული საქმიანობა. ეს უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების (მიწათსარგებლობის უფლებებთან დაკავშირებული) მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას.
- 76. თავი VIII ტყის სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა.** რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღესდღეობით „ტყის ფონდიდან“ ამორიცხულია ტყით დაუფარავი ტერიტორიები. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, თუ როგორ და რომელ ტერიტორიებზე იგეგმება ტყის სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა. ამ თავში შემოთავაზებული რეგულირება შეუძლებელია გამოყენებული იქნას რომელიმე ტიპის დაცულ ტერიტორიასთან მიმართებაში (მათ შორის დაცული ლანდშაფტის ან მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის).
- 77. თავი IX.** სოფლად მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ტყის არამერქული რესურსებით სარგებლობა, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება. დღევანდელი კანონმდებლობა ამ საკითხს არ არეგულირებს. ტყეში ჭიგოს და სარის მოჭრისთვის გლეხი ან ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდეს, ან ტყის დაცვის მუშაკმა თვალი უნდა დახუჭოს (ანუ კანონი დაარღვიოს). წარმოდგენილი კანონპროექტი არათუ აგვარებს ამ პრობლემას, არამედ კიდევ უფრო გაამწვავებს ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემას. წარმოდგენილი რეგულაცია ეწინააღმდეგება „ეროვნულ სატყეო კონცეფციას“.
- 78. მუხლები 59, 60, 61, 62, 63 64 კანონპროექტში შემოთავაზებულია ტყისსარგებლობის შემდეგი ფორმები:** ტყით საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა (თავი X), თევზის მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობა (თავი XI), ცხოველთა თავშესაფრის, სანაშენის მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობა (თავი XII). ტყისსარგებლობის ეს ფორმები დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობითაც. სამინისტროდან მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, ამგვარი სარგებლობის მიზნით (ასევე კომპლექსური სარგებლობისთვის) სატყეო ფართობები არასოდეს გაცემულა. საჭიროა გაანალიზებული იქნას, თუ რა მიზეზებით არ არსებობს ამ ტიპის სარგებლობის მიმართ დაინტერესება და რა სიახლეს გვთავაზობს კანონპროექტი. იმედს გამოვთქვამთ, რომ საჯარო განხილვებზე სამინისტრო (კანონპროექტის ავტორი) გარკვეულ სიცხადეს შეიტანს ამ საკითხში.
- 79. მუხლი 65.** კანონპროექტის მიხედვით, სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობის საკითხი უნდა მოწესრიგდეს ნადირობის უფლების მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე. ამგვარი ნორმატიული აქტი არ არსებობს პროექტის დონეზეც კი. გასული წლის დეკემბერში გამოქვეყნებული კანონპროექტი „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“, ასევე გვერდს უვლის საკითხს. გაუგებარია, ორივე წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების შედეგად, უქმდება თუ ძალაში რჩება „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონი (ან მისი რომელიმე ნაწილი), ასევე ამ კანონის და „ტყის კოდექსის“-ის კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც არეგულირებენ

ნადირობის/სამონადირეო მეურნეობის მოწყობის საკითხს. ამ საკითხების კანონპროექტის შემუშავების საწყის ეტაპზე გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, კიდევ უფრო გაუგებარ და წინააღმდეგობრივ კანონმდებლობას მივიღებთ, რაც საბოლოო ჯამში ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას გამოიწვევს.

80. თავი XIV ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა . ეს არის კანონპროექტის ყველაზე პრობლემური ნაწილი. შემოთავაზებული რეგულირება გადმოტანილია მოქმედი კანონმდებლობიდან, მაგრამ კიდევ უფრო მეტია გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები. რეგულაცია აბსოლუტურად მიუღებელია და არანაირად არ შეესაბამება ტყისა და ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მართვის დეკლარირებულ მიზნებს. მათ შორის ამ კანონპროექტის დეკლარირებულ მიზნებსა და ამოცანებს. როგორც ჩანს, პროექტის მომზადებისას არ იქნა გაანალიზებული ამ რეგულაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და მისი გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური შედეგები.

ტყისა და სატყეო მიწების მართვის ეს ფორმა ტყის კოდექსის პირვანდელი რედაქციითაც (1999 წ.) იყო განსაზღვრული. თუმცა, ბოლო წლებში ამ საკითხის მარეგულირებელ კანონმდებლობაში უამრავი ცვლილება შევიდა, ხოლო ამ სახის ტყითსარგებლობის შედეგად, ტყის განადგურებისა და დეგრადაციის ტემპმა გადააჭარბა ტრადიციულ საფრთხეებს (არამდგრადი ტყის ჭრა და ძოვება)⁹. დღესდღეობით ეს საკითხი ტყის კოდექსითა (მუხლი 33) და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით (N242 20.08.2010) რეგულირდება¹⁰. ტყითსარგებლობის ეს ფორმა გამოიყენება იმ საქმიანობების განსახორციელებლად, რომელთა შედეგადაც ყველაზე მეტად ხდება ბიომრავალფეროვნების განადგურება და გარემოს დეგრადაცია: წიაღის მოპოვება, ელექტროსადგურების, ასევე მილსადენების, გზების და სხვა ხაზობრივი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ურბანული განვითარება და ა.შ.

„სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობასთან“ დაკავშირებული კანონმდებლობა მოიცავს შემდეგ ძირითად ნაკლოვანებებს:

- არ არის დადგენილი სამართლებრივი მექანიზმი, რომლითაც განისაზღვრება აუცილებელია ამა თუ იმ კონკრეტული საქმიანობის განხორციელება, რომელიც მოითხოვს „სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობას“. ან ამ საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელია თუ არა „სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა“.
- არ არის განსაზღვრული საქმიანობის შედეგად, ვინ უნდა იღებდეს „მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს“ - სახელმწიფო თუ საქმიანობის განმახორციელებელი კერძო პირი.
- არ არის დადგენილი, ეკონომიკური სარგებლის შეფასებისა და მნიშვნელობის განსაზღვრის საკითხი/პროცედურა

⁹ GLOBAL FOREST WATCH MAP -ზე თვალნათლივ ჩანს ამ ტიპის საქმიანობების დაკარგული ტყის ფართობები

¹⁰ ამ საკითხის დასარეგულირებლად, მთავრობის დადგენილებით (N 228, 01.06.2011) „ტყითსარგებლობის წესს“ (მთავრობის დადგენილება N242 20.08.2010) დაემატა თავი V¹ „სახელმწიფო ტყის ფონდით“ სპეციალური სარგებლობა“

- არ არის განსაზღვრული, დაინტერესებული პირების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის პროცედურები. სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური სარგებლობის თაობაზე გადაწყვეტილებას სამინისტრო ან მთავრობა იღებს მარტივი ადმინისტრაციული წესით, რაც გამორიცხავს დაინტერესებული საზოგადოების წინასწარ ინფორმირებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას.
- არ არის დადგენილი პროცედურა/მექანიზმი, რომლითაც უნდა შეფასდეს საქმიანობის გარემოსდაცვითი კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი
- არ არის განსაზღვრული რა სახით და რა ფორმით უნდა მოხდეს სახელმწიფო ტყის ფონდის შემცირების დასაბუთება
- კომპენსაციების მექანიზმები გაუმართავია. კანონმდებლობა გულისხმობს საქმიანობის შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას (კომპენსაციას), ისე, რომ არც კი განიხილება გარემოზე ზემოქმედების (ზიანის) აცილებისა და შერბილების შესაძლებლობები (ადგილმდებარეობის ან ტექნოლოგიური ალტერნატივების საშუალებით და სხვ.). მდგრადი მართვის პრინციპებიდან გამომდინარე, კომპენსაციის საჭიროება და ვალდებულება დგება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამოწურულია ზიანის აცილებისა და შემცირების ყველა შესაძლებლობა. ამ იერარქიის (ზიანის აცილება-შემცირება-კომპენსაცია) დარღვევის შემთხვევაში, ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაცია გარდაუვალია.

ყველა ჩამოთვლილი პრობლემის გადაჭრის ინსტრუმენტს წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასება. თუმცა, საქმიანობების დიდი ნაწილი, რომელთა შემთხვევაშიც გამოიყენება ტყითსარგებლობის ეს ფორმა, საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით, არ წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ) დაქვემდებარებულ საქმიანობას და შესაბამისად, არ საჭიროებს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებით დასკვნას. ასეთებია: წიაღის შესწავლა/მოპოვება, საგზაო და სხვა ხაზობრივი ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების პროექტები, რომლებსაც სახელმწიფო ორგანიზაციები ახორციელებენ და სხვა. საქმიანობების ნაწილისთვის (მაგალითად, ჰესების მშენებლობა), მართალია კანონმდებლობა მოითხოვს გზშ-ს, მაგრამ როგორც წესი, სპეციალური ტყითსარგებლობის საკითხები არ განიხილება გზშ ანგარიშებში. ტრადიციულად, გზშ ანგარიშებში აღინიშნება, რომ ტყის ჭრა, ისევე როგორც დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ეკოსისტემაზე განხორციელებული სხვა ზემოქმედება, არ წარმოადგენს გზშ-ს საგანს და სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის ხელშეკრულებით უნდა დარეგულირდეს. ეს ფრაზა, ისევე როგორც ფრაზები ე.წ. “ჰაბიტატ-ჰექტარის“ მეთოდით ტყეზე მიყენებული ზიანის კომპენსაციის შესახებ, უცვლელად გადადის ერთი გზშ ანგარიშიდან მეორეში¹¹. მიუხედავად იმისა, რომ გზშ ანგარიშში ამ საკითხების იგნორირება არასწორია - როგორც სამართლებრივი, ისე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით - გარემოს დაცვის სამინისტრო უპრობლემოდ გასცემს ხოლმე დადებით დასკვნას. სამინისტრო არც ამ დასკვნების პირობების შესრულებას აქცევს ყურადღებას - მიუხედავად სანებართვო პირობებისა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ საქმიანობის განმახორციელებელს განეხორციელებინა საკომპენსაციო ღონისძიებები და ზემოხსენებული

¹¹ იხილეთ მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული შენიშვნები და კომენტარები 50-მდე გზშ ანგარიშებში - www.greenalt.org

„ჰაბიტატ-ჰექტარის“ მეთოდით აღედგინა დარღვეული ეკოსისტემების ექვივალენტური ტერიტორია.

მოქმედ ტყის კოდექსში არ არის განსაზღვრული, ვინ არიან ის დაინტერესებულ პირები, ვისთანაც უნდა მოხდეს ამ გადაწყვეტილების შეთანხმება. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. კონსტიტუციის ამ მუხლის შესაბამისად, ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ, ორჰუსის კონვენციით¹², რომელიც განმარტავს, რომ “დაინტერესებული საზოგადოება” ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები“.

ეკოსისტემებზე მიყენებული ზიანის კომპენსირება კიდევ ერთ პრობლემურ საკითხის წარმოადგენს. სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის რეგულაციების შემოღებიდან მხოლოდ სამწელიწადნახევრის შემდეგ გაითავისა მთავრობამ, რომ გარემოზე მიყენებული ზიანი ძალზე მასშტაბურია და „ტყითსარგებლობის წესში“ შეიტანა შესაბამისი ცვლილებები¹³. დროთა განმავლობაში, ცხადი გახდა აღნიშნული რეგულაციების ნაკლოვანებები. დადგენილებით დამტკიცებული წესი არ ფარავდა "ტყის ფონდის მართვის შესახებ" კანონითა და ტყის კოდექსით გათვალისწინებულ არაერთ ასპექტს; მრავალი საკითხი კი, საერთოდ დაურეგულირებელი იყო. არსებული ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავლის მოსაძებნად, სამინისტროს ინიციატივით, „ტყითსარგებლობის წესში“ შევიდა ცვლილებები, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაციასთან დაკავშირებით. ახალი კომპენსაციის მექანიზმი შემოღებული იქნა მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N425 დადგენილებით¹⁴. სამინისტრო და მთავრობა აცნობიერებდა, რომ ახალ რეგულაციასაც ბევრი ნაკლი ქონდა. აქედან გამომდინარე, დადგენილების განმარტებით ბარათში აღინიშნა, რომ ეს წესი დროებითი რეგულაციის ფუნქციას შეასრულებს და გადაიხედება ტყის ახალ კანონმდებლობაზე მუშაობისას. **სამწუხაროდ, წარმოდგენილ პროექტში ვერ ვხედავთ რაიმე პრინციპულ სიახლეს. საკითხის ამ საკით დაარეგულირების შემთხვევაში, უახლოეს წლებში ათასობით ჰექტარი ტყე დაიკარგება.**

81. თავი XV სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო მიზნით ტყით სარგებლობა. სარგებლობის ეს ფორმა უნდა მიკუთვნებული იქნას საერთო სარგებლობას. დაცული ტერიტორიების

¹² "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენცია

¹³ ცვლილებები შეტანილია მთავრობის N302 (29.11.2013) დადგენილებით.

¹⁴ „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა ისედაც რეგულირება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ კანონით.

82. თავი XVIII ადმინისტრაციული წარმოება ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით. მუხლი 72-ის მიხედვით, კოდექსის ეს თავი განსაზღვრავს მხოლოდ ტყეში საქონლის მოგებასთან დაკავშირებულ საკითხს (მუხლი 34). გაუგებარია, როგორ ხდება სხვა სახის ტყითსარგებლობაზე ლიცენზიის გაცემის ადმინისტრირება.

83. მუხლი 73. ამ მუხლში შემოთავაზებული რეგულირება მნიშვნელოვნად აუარესებს მოქმედი ტყის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლებით, ასევე საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N 132 დადგენილებით (11.08.2009 N 142 და 31.10.2014 N 608 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დადგენილ წესს, რომლის თანახმადაც, ტყითსარგებლობის აუქციონის გამოცხადებამდე, სალიცენზიოდ გასატანი ფართობების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით. კანონპროექტის შემოთავაზებული რედაქცია გვაბრუნებს იმ დროსთან, როდესაც საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, გარემოსდაცვით, სოციალური და ეკონომიკური რისკების გათვალისწინების გარეშე, გაიცა ათეულობით გრძელვადიანი ხე-ტყის დამზადების ლიცენზია. სამინისტრომ არაერთხელ განაცხადა, რომ ეს იყო ცუდი პრაქტიკა და აპირებდა მოქმედი ლიცენზიების გაუქმებას და მომავალში უარს ამბობდა ტყითსარგებლობის ამ ფორმაზე. ყოველგარი დასაბუთებისა და წინასწარი განხილვების გარეშე, კანონპროექტში კვლავ ასეთი ტიპის რეგულაციას ვხვდებით.

84. თავი XIX ტყის აღდგენა-გაშენება. სასურველია, ტყის აღდგენა-გაშენების სამუშაოები დაექვემდებაროს გარემოსდაცვითი ნებართვების მეორე კატეგორიის საქმიანობას.

85. ცალსახად უნდა აიკრძალოს აღდგენა გაშენების დროს არაადგილობრივი, ინვაზიური სახეობებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენება.

86. თავი XX. ტყის დაცვა. მუხლი 81. კანონპროექტში ერთ ჩამონათვალშია გაერთიანებული ტყის ფიზიკური დაცვა უკანონო ქმედებებისგან და ტყის დაცვა სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენების ზეგავლენისგან (მაგნიტულები, დაავადებები, ხანძრები). დასაფიქრებელია, რამდენად პრაქტიკულია მართვის თვალსაზრისით ასეთი დაჯგუფება.

87. მუხლი 81. მე-4 პუნქტის თანახმად, „დაცული ტერიტორიების დაცვის რეჟიმი დგინდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით“. ეს პუნქტი იდენტურია მოქმედი ტყის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტისა. გთხოვთ განგვიმარტოთ, რა იგულისხმება „დაცვის რეჟიმში“ - დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ კანონით დადგენილი დაცული ტერიტორიის სხვადასხვა კატეგორიისათვის განსაზღვრული აკრძალული და დაშვებული საქმიანობები?

88. მუხლი 83. ამ მუხლით განსაზღვრულია, რომ აკრძალულია ისეთი ქმედება, რომელიც იწვევს ტყის განადგურებას. ამავდროულად, განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა სწორედ ტყის განადგურებასთან არის დაკავშირებული.

89. **მუხლი 84.** ამ მუხლის შინაარსი ამოვარდნილია საერთო კონტექსტიდან და კანონპროექტის დანარჩენი მუხლების შინაარსს არ შეესაბამება. როგორც ჩანს, ეს ნაწილი გადმოტანილი იქნა ძველი პერიოდის რეგულაციებიდან.
90. **მუხლი 84.** ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ „სამეურნეო ტყის დაცვითი, საკურორტო და სარეკრეაციო კატეგორიის ტყეებზე ვრცელდება დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი.“ კანონპროექტის მიხედვით კი, „სამეურნეო“, „დაცვითი“ და „საკურორტო და სარეკრეაციო“ ტყეები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კატეგორიებია.
91. **მუხლი 84.** ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია „დაცვით-საექსპლუატაციო კატეგორიის ტყე“. ასეთი კატეგორია კანონპროექტის წინა მუხლებით დადგენილი არ არის.
92. **მუხლი 84.** ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ძალზე გაუგებარია და პრაქტიკულ დანიშნულებას მოკლებულია. არაფერი არ შეიცვლება პრაქტიკული თვალსაზრისით, თუ მე-5 პუნქტი საერთოდ არ იქნება.
93. **მუხლი 86.** გაუგებარია, რა სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებით იქნება შესაძლებელი ტყის დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოიყენებული იქნას „ტყისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შედეგად ამოღებული თანხები“ და „ამოღებული და ჩამორთმეული რესურსების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი“. კანონპროექტს არ ახლავს არც განმარტებითი ბარათი და არც შესაბამისი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში.
94. **თავი XXI ტყის მოვლა.** ამ თავში მოცემული ღონისძიებები/მართვის ფორმები შესაძლებელი გამოყენებული იქნას მხოლოდ (ან ძირითადად) სამეურნეო ტყის კატეგორიის შემთხვევაში.
95. **მუხლი 88.** ამ მუხლით განსაზღვრული ქმედებები არ შეესაბამა ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს.
96. **მუხლი 89.** პუნქტი 2. გაუგებარია, რა იგულისხმება ტერმინებში „განსაკუთრებული აუცილებლობა“ და „სათანადო დასაბუთება“. საჭიროა ცალსახად განიმარტოს, თუ ვინ უნდა დაამტკიცოს შემთხვევის განსაკუთრებულობა, რა ფორმით და რა ფორმით უნდა დაასაბუთოს.
97. **თავი XXII პროფესიული კვალიფიკაცია.** უნდა განისაზღვროს, ტყის მართვის რომელ ინსტიტუციას შეესაბამება ამ თავით დადგენილი რეგულაციები. ისინი ნაკლებად მისაღებია დაცული ტერიტორიების ან კერძო მფლობელობაში არსებული ტყეებთან მიმართებაში.
98. თავში არაფერია ნათქვამი დასაქმებულთა შრომითი უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობების შესახებ.